---------- Forwarded message ---------
From: **Lela Ksovreli**
Date: Thu, Sep 12, 2019 at 2:03 PM
Subject: ფალსიფიცირებული ხიზილალა
To: <info@ampa.ge>

მოგესალმებით,

დღეს გესაუბრეთ ცხელ ხაზზე [redacted] შემენილი ხიზილალის შესახებ. გიგზავნით ფოტოებს. იმედი მაქვს ეს ფალსიფიკაცია ამოღებული იქნება გაყიდვებიდან ყველა მაღაზიაში და შემომტანიც სათანადოდ გაინაწილებს პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება [redacted] ვფიქრობ ფასის განახევრება არ იყო სწორი რეაგირება. უნდა ამოეღოთ გაყიდვებიდან. მიუხედავად იმისა, რომ შემენილი ხიზილალა დაიბრუნეს, დამრჩა შთაბეჭდილება რომ იცოდნენ ამ ფალსიფიკაციის შესახებ. სავარაუდოდ არც ამოიღებენ სანამ სულ არ ამოყიდიან. მენეჯერმა მითხრა 10-10 -ს ყიდულობენ და არავის მოუბრუნებიაო :(.

არ ვიცი რამდენად ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ამას ალბათ თქვენი სააგენტო გადაამოწმებს. ფაქტი ერთია: ცელოფანში ჩასხმული გაურკვეველი სითხეა და იყიდება როგორც ორაგულის ხიზილალა.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და თქვენი რეაგირების იმედი მაქვს.

პატივისცემით,
ლელა ქსოვრელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/7922
01/10/2019

7922-09-2-2-201910011441

მოქალაქე ლელა ქსოვრელს
პ/ნ [redacted] ტელ: [redacted]
ელ. ფოსტის მის. [redacted]

ქალბატონო ლელა,

2019 წლის 12 სექტემბერს თბილისის საქალაქო სამსახურში შემოვიდა თქვენი სატელეფონო შეტყობინება N15660, რომელიც ეხებოდა [redacted] ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტში [redacted] შეძენილ საკვებ პროდუქტს. თქვენი გახმარტებით, შეგიძენიათ უკრაინული წარმოშობის ხიზილალა [redacted] რომელიც იყო საკვებად უვარგისი, უხარისხო (ცელოფნის პარკივით მასა).

თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორების მიერ ადგილზე ([redacted] სასურსათო მაღაზია, [redacted] შესწავლილ იქნა ზემოთ აღნიშნული ფაქტი, ობიექტში დარღვევები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნულ ობიექტზე დაცული იყო ხიზილალა [redacted] ის და შენახვის პირობები, ვარგისიანობის ვადები და ტემპერეტურული რეჟიმი.

პატივისცემით,

მაია საბაშვილი

სამსახურის უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

Vakhtang Kobaladze

From: Lela Ksovreli
Sent: Tuesday, October 1, 2019 4:21 PM
To: vakhtang@csrdg.ge
Subject: Fwd:

---------- Forwarded message ---------
From: **Lela Ksovreli**
Date: Tue, Oct 1, 2019 at 4:17 PM
Subject: Re:
To: Medea Gegechkori <Medea.Gegechkori@nfa.gov.ge>
Cc: <info@apma.ge>

მადლობას გიხდით პასუხისთვის. თუმცა, ჩემი საჩივარი არანაირად არ ეხებოდა მიერ პროდუქტის შენახვის პირობების დარღვევას. მე სატელაფონო საუბრისას და ასევე წერილობით განვმარტე, რომ ის პროდუქტი, რომელიც იყიდება როგორგ ორაგულის ხიზილალა, არ არის სინამდვილეში ხიზილალა, და არაფერი საერთო ხიზილალასთან არ აქვას. ეს პროდუქტი წარმოადგენს ფალსიფიკაციას, კონკრეტულად კი გაურკვეველი წარმოშობის გარსში (რომელიც ცელოფანს გავდა) მოთავსებული გაურკვეველი სითხე. გარსი არ დნება და შეხებით არის ჩველებრივი ცოლოფანი. აქ არაფერ შუაშია შენახვის პირობები ან მიერ დარღვეული რაიმე სანიტარული ნორმები. პროდუქტი არის ფალსიფიცირებული და არავინ იცის რამდენად საშიშია მისი მოხმარება.

კიდევ ერთხელ მინდა ავღნიშნო, რომ მე არც მიმოწერაში და არც სატელეფონო საუბრისას არც კი მიხსენებია რომ "ხიზალალა" იყო გაფუჭებული. დარწმუნებული ვარ ამ საუბრის ჩანაწერი ინახება და შეგიძლიათ გადაამოწმოთ. ასევე დარწმუნებული ვარ, სუპერმარკეტი საუკეტესო პირობებში და სათანადო ტემპერატურულ რეჟიმში ინახავ ფალსიფიცირებულ პროდუქტს!

და ბოლოს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ თქვენი პასუხი არ არის ადეკვატური და არ გასცემს პასუხს ჩემ მიერ გამოთქმულ წუხილს. უფრო მეტიც, საერთოდ აცდენილია პრობლემის არსს და ჩემთვის გაუგებარია რატომ იხარჯება სახელმწიფო რესურსი გაუგებარი შემოწმების ჩასატარებლად.

იმედი მაქვს ახლა მაინც გასაგებად ავხსენი პრობლემის არსი.

ლელა

On Tue, Oct 1, 2019 at 2:41 PM Medea Gegechkori <Medea.Gegechkori@nfa.gov.ge> wrote:

> გთხოვთ დამიდასტუროთ მიღება